F-171
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1981

იანვარი **№ 1** ЯНВАРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 10/III-81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/IV-81 წ.,
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5, სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,25

შეკვეთა № 233 უე 17529 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-4864

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 19 ივნისის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**რესპუბლიკაში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, დანიშნულებით გამოცხადების, განაწილების ადგილზე დამაგრების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ**

რესპუბლიკაში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, დანიშნულებით გამოცხადების, გამოყენებისა და განაწილების ადგილზე დამაგრების მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე (თან ერთვის) და ამ საქმეში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების, ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, გამოცხადებისა და განაწილების ადგილზე დამაგრების საქმის რადიკალურად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. შეისწავლონ და გაანალიზონ გამოვლინებული ნაკლოვანებები, იქონიონ მათზე პრინციპული მსჯელობა, დასახონ შესაბამისი ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით.

1. 2. ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, გამოყენებისა და ადგილზე დამაგრების საქმეში მკაცრად იხელმძღვანელონ შესაბამისი ინსტრუქციით, არ დაუშვან მისი დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

1. 3. აღკვეთონ მასწავლებლად საშუალო განათლების მქონე პირების, არასპეციალისტების და არასრულ სასწავლო დატვირთვაზე დანიშვნის შემთხვევები.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

1. 4. უზრუნველყონ განათლების სამინისტროში პედაგოგიურ კადრებზე განაცხადების წარმოდგენა სკოლის, სასწავლო დატვირთვისა და ახალგაზრდა სპეციალისტების დანიშვნისათვის საჭირო სხვა აუცილებელი მონაცემების ჩვენებით, ყოველი წლის 15 თებერვლისათვის.

1. 5. გულდასმით და დროულად გაატარონ ღონისძიებანი ყველა სპეციალობის მასწავლებლებზე დამატებითი მოთხოვნილების გამოსავლინებლად, არ დაუშვან ახალგაზრდა სპეციალისტებზე დაუსაბუთებელი განაცხადების წარმოდგენა, მომართვებისა და შუამდგომლობების ხელზე გაცემა.

1. 6. ახალგაზრდობის მიერ მასწავლებლის პროფესიის შეგნებული არჩევის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში პედაგოგიური პროფორიენტაციული მუშაობის გაუმჯობესებას, ამ თვალსაზრისით სპეციალური ღონისძიებები დასახონ და განახორციელონ მოსწავლე ვაჟების მიმართ, მიაღწიონ რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე მიღებისათვის, რესპუბლიკის გარეთ კადრების მიზნობრივი მომზადებისათვის გამოყოფილი ადგილების სრულ ათვისებას.

1. 7. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან სამი წლის გასვლამდე არ მიიღონ სამუშაოზე ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთაც არ ექნებათ განაწილების მოწმობა, ან გამანაწილებელი კომისიის მიერ გაცემული ცნობა (ფორმა № 3) სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლების შესახებ.

1. 8. სასწავლო წლის დაწყებამდე ახალგაზრდა სპეციალისტებთან მოაწყონ ორგანიზებული შეხვედრები, გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგარი უახლოესი ამოცანები და პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრებულთათვის განკუთვნილი სტაჟირების პროგრამა.

1. 9. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის რაიონებში განაწილებულ დამწყებ მასწავლებელთა შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას, დააწესონ მკაცრი კონტროლი კანონით გათვალისწინებული შეღავათების რეალიზაციის საკითხებზე.

1. 10. ყოველი წლის 10 სექტემბრისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ წერილობითი ანგარიში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებს დადგენილი ფორმით აცნობონ ახალგაზრდა სპეციალისტების დანიშნულებით გამოცხადების შესახებ.

2. კადრების შერჩევისა და ახალგაზრდა სპეციალისტების დანიშვნის საქმეში დაშვებული დარღვევებისათვის ყვარლის, ლაგოდეხის, თელავის, ორჯონიკიძისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. რ. შავგულიძეს, გ. ლობჟანიძეს, ა. თვალიაშვილს, შ. ღონღაძეს და რ. მელტონიანს მიეცეთ შენიშვნა.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ახალგაზრდა სპეციალისტთა პერსონალური განაწილებისა და დანიშვნის საქმეში დაშვებული დარღვევებისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ვ. ძაგოევის საკითხს განიხილავს პარტიის საოლქო კომიტეტი.

4. აღინიშნოს აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს (ამხ. ვ. წულუკიძე) კარგი მუშაობა პედაგოგიურ ინსტიტუტებთან საჭირო კონტაქტების დამყარების, ახლადდანიშნულ მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო და მუშაობის პირობების შექმნის საქმეში.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე, მიიღოს საჭირო ზომები:

5. 1. სტუდენტთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს მათში მოვალეობის, მოქალაქეობრივი ვალის შესრულებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდას; სოფლის სკოლებში სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების საკითხებს.

5. 2. სპეციალისტთა გამოშვებისა და განაწილების სახელმწიფო გეგმის განუხრელად განხორციელების და თითოეული კურსდამთავრებულის დანიშნულების მიხედვით გამოცხადებისათვის.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება და კადრების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკაში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, დანიშნულებით გამოცხადების, გამოყენებისა და განაწილების ადგილზე დამაგრების მდგომარეობის შესახებ“ დაეგზავნოს სახალხო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განათლების ადგილობრივ ორგანოებს და დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

7. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე და შედეგების შესახებ მოახსენოს კოლეგიას 1980 წლის IV კვარტალში.

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი | ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## რესპუბლიკაში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, დანიშნულებით გამოცხადების, გამოყენებისა და განაწილების ადგილზე დამაგრების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ახორციელებს რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს სახალხო განათლების შესახებ, გარკვეულ მუშაობას ატარებს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის, მათი რაციონალური გამოყენებისა და აღზრდის, მათთვის შრომისა და ყოფაცხოვრების აუცილებელი პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და განათლების სისტემის სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები ყოველწლიურად ივსება ახალგაზრდა სპეციალისტების ახალ-ახალი კადრებით. მეათე ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში აღნიშნულ დაწესებულებებში განაწილდა 6 ათასამდე სპეციალისტი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის სკოლების სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებით უზრუნველყოფის საქმეს. ხორციელდება ღონისძიებები უმაღლესდამთავრებულთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განაწილების მიზნით: 1979 წელს განაწილებული 1584 სპეციალისტიდან (1413 უმაღლესი და 171 საშუალო სპეციალური პედაგოგიური განათლებით) თავის მშობლიურ რაიონს ან სოფელს დაუბრუნდა 967 (61%). 1979 წელს სოფლის სკოლებში სულ სამუშაოდ გაიგზავნა 1116 ახალგაზრდა სპეციალისტი (86,9%); გაიზარდა IV—X კლასებში უმაღლესდამთავრებულ მასწავლებელთა რაოდენობის მაჩვენებელი (74,4%). ორგანიზებულად ჩატარდა ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილება გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამხ. რ. კანდელაკი). ამავე ინსტიტუტმა კარგად უზრუნველყო მათი განაწილების ადგილებზე გამოცხადება, რაც სტუდენტებთან სისტემატურ აღმზრდელობით მუშაობაზე მიუთითებს.

შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში საჭირო ყურადღებას აქცევენ სკოლაში მისულ ახალგაზრდა პედაგოგებს, მათთვის მუშაობისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნას. აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს (ამხ. ვ. წულუკიძე), ქ. ტყიბულის (ამხ. ზ. ლომთაძე), აბაშის (ამხ. ა. ცანავა), ზუგდიდის (ამხ. მ. ნარმანია), ჩოხატაურის (ამხ. მ. კეკელიძე), ხობის (ამხ. შ. ხარებავა) და სხვა სახალხო განათლების განყოფილებების მიერ პრაქტიკაში დაინერგა აგვისტოს კონფერენციებზე პედაგოგიური კოლექტივებისადმი ახალგაზრდა სპეციალისტების ოფიციალურ, საზეიმო ვითარებაში წარდგენა, შრომის წიგნაკების გადაცემა, ვეტერანი პედაგოგების მიერ ახალგაზრდებისათვის გზის დალოცვა, შეხვედრები ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებთან. პედაგოგიურ ინსტიტუტებთან უშუალო კონტაქტის, ახლადდანიშნულ მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო და მუშაობის ნორმალური პირობების შექმნაზე ყურადღებისა და ზრუნვის შედეგად დასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში უკანასკნელ წლებში განაწილებულ სპეციალისტთა დიდი უმრავლესობა ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას.

ერთგვარად გაუმჯობესდა პედაგოგიურ ინსტიტუტებში გამოყოფილი ლიმიტების ათვისების მდგომარეობა (1976 წელს ჩარიცხულ იქნა გეგმის 15,6%, 1977 წელს 26,9%, 1978 წელს 25,9%, 1979 წელს 33,1%).

გაწეული მუშაობის მიუხედავად, ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, დანიშნულებით გამოცხადებისა და დამაგრების საქმეში კვლავ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ 1976—1979 წლებში გეგმით გათვალისწინებული 8072 სპეციალისტის ნაცვლად, უნივერსიტეტისა და პედინსტიტუტების მიერ განაწილდა 5781. 1979 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების სახელმწიფო გეგმა შესრულდა მხოლოდ 71,6%-ით (დანართი 1). აუცილებელია აღინიშნოს გეგმის შესრულების განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები ისეთი საგნების სპეციალისტთა განაწილების საქმეში, როგორიცაა მშობლიური ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა-ფიზიკა, ბიოლოგია-ქიმია-გეოგრაფია, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობა, ზოგადტექნიკური დისციპლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები და შრომა, უცხო ენები, ფიზიკური აღზრდა, დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა და სხვა (დანართი 2).

ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე გამოცხადების გეგმა რესპუბლიკაში ამავე პერიოდისათვის შესრულდა 64,3%-ით. მათ შორის 66%-ით პედაგოგიური ინსტიტუტების, 25,1%-ით უნივერსიტეტისა და 34,6%-ით საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხაზით, რაც საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 19%-ით დაბალია, მხოლოდ 1979 წელს უმაღლესი სასწავლებლებიდან ახალგაზრდა სპეციალისტთა გეგმის შეუსრულებლობის შედეგად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დააკლდა 700-ზე მეტი სხვადასხვა სპეციალობის მასწავლებელი (დანართი 3) მაშინ, როდესაც რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების სკოლებში პედაგოგთა მწვავე ნაკლებობა იგრძნობა. სულ რესპუბლიკაში დანიშნულებით არ გამოცხადდა 125 ახალგაზრდა სპეციალისტი (დანართი 4). აქედან არასაპატიო და დაუდგენელი მიზეზების გამო 72, რაც სამუშაოზე გამოუცხადებელთა საერთო რაოდენობის 55,8%-ს შეადგენს. ძალზე დაბალია პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე გამოცხადების მაჩვენებელიც — 46% (საკავშირო 89,3%).

აღნიშნული ნაკლოვანებები, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგთა კადრების მომზადების დაგეგმვასა და მათზე მოთხოვნილებას შორის ჯერ კიდევ არსებული დისპროპორციის შედეგია (თბილისისა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტები და რესპუბლიკის 7 პედაგოგიური ინსტიტუტი ყოველწლიურად ამზადებენ დაახლოებით 5 ათას მასწავლებელს, აქედან დღის სწავლებაზე — 2,5 ათას კაცს მაშინ, როდესაც საშუალო წლიური მოთხოვნილება 1,5 ათასს არ აღემატება). გარდა ამისა, ეს ნაკლოვანებები აიხსნება შემდეგით:

1. სტუდენტთა იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებითა და მათი განაწილებისათვის არადამაკმაყოფილებელი მომზადებით. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ უმაღლესდამთავრებულ სპეციალისტთა ერთი ნაწილი თავს არიდებს განაწილებას. როგორც ჩანს, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების წლებში სტუდენტებში ვერ ზრდიან პასუხისმგებლობის გრძნობას და მოქალაქეობრივ მოვალეობას, იმის შეგნებას, რომ იმუშაონ იქ, სადაც საჭირონი არიან. ასე მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის 7, ისტორიის ფაკულტეტის 10, ფილოლოგიის ფაკულტეტის 3, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენა — ისტორიის 6 კურსდამთავრებულმა და სხვ. უარი განაცხადა განაწილებით სამუშაოს დაწყებაზე.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის 1979 წლის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ქ. ცხინვალის მცხოვრები რ. ბ. სანაკოევი, რომელიც განაწილებულ იქნა დმანისის რაიონის სოფელ სარკინეთის რუსულ საშუალო სკოლაში, განაწილების ადგილზე არ გამოცხადდა. მან მოგვიანებით, 24 ოქტომბერს (?!) უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში წარადგინა ცნობები ავადმყოფობისა და მშობლების ინვალიდობის შესახებ, რის საფუძველზედაც გათავისუფლებული იქნა და ამავე წლის ნოემბრის თვიდან დანიშნულ იქნა ქ. ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად 18 საათზე. ეს ცნობები ინსტიტუტში განაწილების დროს რომ წარდგენილიყო, სოფელ სარკინეთის საშუალო სკოლა ფიზიკის მასწავლებლის გარეშე არ დარჩებოდა. ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

2. პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და განათლების ადგილობრივ ორგანოებს შორის სუსტი კონტაქტებით. განათლების განყოფილებები დიდი დაგვიანებით, ან სულ არ უგზავნიან უმაღლეს სასწავლებლებს ცნობებს ახალგაზრდა სპეციალისტების დანიშნულებით გამოცხადების შესახებ. თელავის რაიონში 1979 წელს განაწილებული 18 კურსდამთავრებულის ნაცვლად ადგილზე გამოცხადდა 11. განათლების განყოფილებისა და სკოლის ხელმძღვანელთათვის დღემდე ცნობილი არ არის მათი გამოუცხადებლობის ნამდვილი მიზეზები.

განმანაწილებელი კომისიების სერიოზული დაუდევრობით, ახალგაზრდა სპეციალისტების არარაციონალური განაწილებით. ასე მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების 1979 წლის 250-ზე მეტი კურსდამთავრებული განაწილდა სხვადასხვა დაწესებულებასა და უწყებაში (დანართი 5) მაშინ, როდესაც რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების სკოლებს აკლიათ სხვადასხვა საგნის სპეციალისტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ზოგიერთი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებისა და სკოლის ხელმძღვანელი მუშაკების მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც განათლების განყოფილებები დადგენილი წესის შესაბამისად, განათლების სამინისტროს დროულად და ზუსტად არ აწვდიან მოთხოვნებს სპეციალისტებზე, კონკრეტულად არ უჩვენებენ სკოლას, დატვირთვის ოდენობას და სხვა აუცილებელ მონაცემებს. შეიმჩნევა ადგილების დამალვის, ახალგაზრდა სპეციალისტების დანიშვნის წესების უხეში დარღვევის, განაწილების გაუმართლებელი და უნებართვო შეცვლის, ზოგჯერ კი სიყალბის შემთხვევები, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის პროტექციონიზმს, ანგარებასა და სხვა არაჯანსაღ გამოვლინებებს. ასე მაგალითად, 1979 წლის 20 აგვისტოდან დღემდე ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებას (ამხ. რ. შავგულიძე) 20 პედაგოგი ყავს დანიშნული. აქედან: ფიზიკის 5 სპეციალისტი, მათემატიკის 4, დაწყებითი განათლების 4 და სხვ. მაშინ, როდესაც განაცხადით მოთხოვნილი ყავდათ ფიზიკის 1 სპეციალისტი, მათემატიკის 1, დაწყებითი კლასებისათვის კი არც ერთი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასახელებული 20 პედაგოგიდან 12 1-ლ სექტემბერსაა დანიშნული. მათგან ახალგაზრდა სპეციალისტები: ლ. ზ. გიოშვილი, რომელიც 1979 წლის 20 აგვისტოს № 154 ბრძანებით თელავის რაიონში იყო განაწილებული, სამინისტროს ნებართვის გარეშე დანიშნულ იქნა სოფელ ენისელის საშუალო სკოლაში, ხოლო ნ. ს. სამიტაშვილი, დაწყებითი განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რომელიც განათლების განყოფილების განკარგულებაში მოხვდა, დღემდე უმუშევარია, თუმცა ამ სპეციალობით სასწავლო წლის დასაწყისში 3 სპეციალისტი იქნა დანიშნული. ამავე რაიონში განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე იქნენ სამუშაოდან განთავისუფლებულნი ახალგაზრდა სპეციალისტები ნ. ლიულკო და ა. ბასკაკოვა, რომლებიც სამუშაოდ ქ. რუსთავში გადავიდნენ.

ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. შ. ღონღაძე) მიმდინარე სასწავლო წელს განათლების სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე სათანდო ცენზის არმქონე 3 მოქალაქე დანიშნა: გ. ვ. ჩადუნელი — საშუალო განათლებით, 1979 წლის 20 აგვისტოდან დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლად (1 კურსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან სწავლისათვის თავი აქვს დანებებული), მ. ს. შარიქაძე — ქიმიის მასწავლებლად 1980 წლის 2 თებერვლიდან (დამთავრებული აქვს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობა-მებოსტნეობის ფაკულტეტი), მ. ა. მახარაპული — 1980 წლის 18 მარტიდან, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად (დამთავრებული აქვს თსუ კიბერნეტიკის ფაკულტეტი) და ეს მაშინ, როდესაც განათლების სამინისტროს ადგილების უქონლობის გამო უჭირს აღნიშნული სპეციალობის ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილება. ამავე რაიონში სოფელ ვარძიის საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე დაინიშნა ონის რაიონში განაწილებული, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ვ. ალბოროვი.

ახალგაზრდა სპეციალისტმა ზ. გ. დოგუზოვმა, რომელიც ცხინვალის რაიონის სოფელ გერის რვაწლიან სკოლაში განაწილებული იყო გერმანული ენის მასწავლებლად, ლაგოდეხის რაიონში ითხოვა გადასვლა. ამის შესახებ ცხინვალისა და ლაგოდეხის რაიონების განათლების განყოფილებებიდან სამინისტროს გამოეგზავნა მომართვები, მაგრამ ნებართვა არ გაცემულა, რადგან ზ. დ. დოგუზოვი ქ. ცხინვალის მკვიდრია. მიუხედავად ამისა, ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. ლობჟანიძე) 1979 წლის 13 ნოემბრიდან (1979 წლის 28 ოქტომბრის № 110 ბრძ.) ზ. დ. დოგუზოვი სამინისტროს ნებართვის გარეშე დანიშნა სოფელ ფონის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად.

სამხრეთ ოსეთის საოლქო განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. ძაგოევი) სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ვაჟები ს. კოსინსკი, ს. ბეტეევი და ნ. ხატიაშვილი ფიქტიურად, რამდენჯერმე ბრძანებით დანიშნა სხვადასხვა სოფლის სკოლებში და ამით ხელი შეუწყო მათ მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებას. ასევე, არსებული წესის უხეში დარღვევით იქნა დანიშნული ზნაურის რაიონის განათლების განყოფილების 1979 წლის 14 ოქტომბრის № 449 მომართვის საფუძველზე ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ფიზკულტურის სპეციალისტი ს. ა. ჯიოევი, რომელიც აღნიშნულ ინსტიტუტში განაწილებაზე არ გამოცხადებულა, ამიტომ არ ქონდა ფორმა № 3 (თვითმოწყობის უფლება);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული ზ. პ. ჩოჩიევი განაწილებული იყო ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის სკოლაში. ქ. ცხინვალის განათლების განყოფილებამ (ამხ. რ. ტადტაევი) 1980 წლის 5 მარტს (ბრძ. № 105) სამხრეთ ოსეთის ალკკ საოლქო კომიტეტის (1980 წლის 25. 02. № 52) შუამდგომლობითა და საკითხის საოლქო განათლების განყოფილებასთან (ამხ. გ. ძაგოევი) შეთანხმებით დანიშნა ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლაში პიონერხელმძღვანელად, რისი უფლებაც არ ქონდა.

თელავის პედაგოგიური ისტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ლ. გ. ელიზბარაშვილი, რომელიც განაწილებული იყო საგარეჯოს რაიონის გომბორის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, თელავის განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. თვალიაშვილი) სამინისტროს გვერდის ავლით დანიშნა თეთრიწყაროს რვაწლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ასევე იქნა დანიშნული თ. გ. კოპეშაძე აკურის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად (განაწილებული იყო ახალქალაქის ქართულ საშუალო სკოლაში), ლ. ა. ბუჯიაშვილი, რომელიც განაწილებული იყო ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, დაინიშნა თელავის მე-4 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად. ი. ი. ერგემლიძე, განაწილებული სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლაში, განათლების განყოფილებამ დანიშნა ყარაჯალის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლად და სხვ.

ასეთივე ფაქტებს ქონდა ადგილი წალკის რაიონში. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. რ. მელტონიანმა ახალგაზრდა სპეციალისტი ე. ვ. ჩილოვი, რომელსაც პედსასწავლებელი დამთავრებუბული აქვს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, 1979 წლის სექტემბერში განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე მიიღო სამუშაოზე.

5. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილებზე დროულად და საფუძვლიანად არ სწავლობენ პედაგოგიურ კადრებზე უახლოეს და პერსპექტიულ მოთხოვნილებებს, არადამაყოფილებლად მიმდინარეობს პროფსაორიენტაციო მუშაობა, სკოლების ხელმძღვანელები, თვით მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ საკუთარი, ღირსეული ცვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამზადებლად; ადგილობრივი კადრებით რაიონის (ქალაქის) უზრუნველყოფისათვის არადამაკმაყოფილებლად გამოიყენება პედინსტიტუტებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებები და კონკურსგარეშე ჩარიცხვის წესი. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1976-1979 წლებში გეგმით გათვალისწინებულ 1044 კონკურსგარეშე ადგილზე ჩაირიცხა მხოლოდ 273 ახალგაზრდა (26,2%). 1979 წელს აბიტურიენტთა დიდი ნაწილი ვერ ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში, რაც განათლების განყოფილებათა სუსტი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

ამ მხრივ აღსანიშნავია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ამხ. გ. ძაგოევი), ადიგენის (ამხ. პ. მერაბიშვილი), ამბროლაურის (ამხ. ს. ცირეკიძე), ასპინძის (ამხ. დ. ზედგენიძე), გეგეჭკორის (ამხ. ა. ხუროძე), ლენტეხის (ამხ. ი. ჩარქსელიანი), მარნეულის (ამხ. გ. ნაბიევა), ონის (ამხ. გ. დგვარელი), წალკის (ამხ. რ. მელტონიანი) და სხვ. რაიონების განათლების განყოფილებების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა (დანართი 6).

ყველაფერმა ამან შექმნა მეტად მძიმე მდგომარეობა მაღალმთიანი და შორეული რაიონების (მესტია, ყაზბეგი, ცაგერი, ლენტეხი, ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ონი და სხვა) საშუალო და რვაწლიანი სოფლის სკოლების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში, სადაც წლის მანძილზე აკლდათ 171 პედაგოგი.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დამაგრების საკითხიც. იგი რესპუბლიკაში (ფაქტიური განაწილებიდან) 63,1% შეადგენს. 1979 წელს განაწილებული 1584 ახალგაზრდა სპეციალისტიდან, რომელთაგან ადგილზე გამოცხადდა და მუშაობას შეუდგა 1518, ვერ დამაგრდა და სამუშაო მიატოვა 65, აქედან 53-მა დაუდგენელი მიზეზების გამო. როგორც შემოწმებით დადგინდა, განათლების ადგილობრივი ორგანოები არ აანალიზებენ ახალგაზრდა სპეციალისტების დენადობის მიზეზებს, ნაკლებად მოდიან სოფლებში სკოლების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებისათვის ორგანიზატორული მუშაობის ჩასატარებლად, სუსტად მუშაობენ მათში მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობისა და პროფესიისადმი სიყვარულის აღზრ-

დის მიზნით, მათი საყოფაცხოვრებო საკითხებისა და სხვა მოსაგვარებლად. განათლების განყოფილებათა მუშაობა სოფლის სკოლების მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტების საქმეში პრაქტიკულად მხოლოდ ახალგაზრდა სპეციალისტებზე სკოლებიდან მოთხოვნების შეგროვებით ამოიწურება, რაც იწვევს განაწილებული სპეციალისტების ადგილებზე გამოუცხადებლობას, კადრების დენადობას, ნებართვის გარეშე გადაადგილებებს, სამუშაოდან თვითნებურ განთავისუფლებებს.

რესპუბლიკის ყველა რეგიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ინდივიდუალური სახლების ასაგებად სახბანკის სახსრების კრედიტის უქონლობის გამო ვერ ისარგებლეს ასპინძის, ახმეტის, ბორჯომის და ლაგოდეხის რაიონის მასწავლებლებმა.

სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის შრომისა და ყოფაცხოვრების სათანადო პირობების შექმნისათვის კანონით დაწესებული შეღავათების რეალიზაციის საქმეში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ზესტაფონის (ამხ. მ. სარალიძე), ქარელის (ამხ. ვ. ბაქრაძე), საგარეჯოს (ამხ. ნ. ჭანტურია), მარნეულის (ამხ. გ. ნაბიევა) და სხვა რაიონებში.

ახალგაზრდა სპეციალისტებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მხოლოდ სამინისტროს ჩარევის შემდეგ დაკმაყოფილდა დაქირავებულ ბინაში მცხოვრები მარნეულის რაიონის სოფელ შულავერის საშუალო სკოლის მასწავლებლის ე. ა. ხაშიროვას კანონიერი მოთხოვნა მისთვის მასწავლებელთა სახლში ოთახის გამოყოფის შესახებ. გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში მასწავლებელთა სახლში სასოფლო საბჭოს მიერ უკანონოდ შესახლებულ იქნა ფოტოგრაფი, რომელიც წლების მანძილზე სარგებლობდა უფასო კომუნალური მომსახურებით, მაშინ როდესაც მარტყოფის 8-წლიანი სკოლის 12 მასწავლებელი და სკოლა-ინტერნატის პედაგოგები ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდნენ. ბოგდანოვკის რაიონში მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების საქმე მოუგვარებელია იმის გამო, რომ რაიონის საფინანსო განყოფილება მომსახურების კუთვნილ თანხას არ გამოყოფს. ქ. ჭიათურასა და საჩხერის რაიონში მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილნი გათბობით და სხვა. აღნიშნული რაიონების განათლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ადგილობრივი ორგანოები და პროფკავშირის რაიკომები კი ამ ამბავს გულგრილად უყურებენ და არავითარ ზომებს არ ღებულობენ.

ამრიგად, გარდა იმისა, რომ კადრების არარაციონალური, მათზე მოთხოვნილების გათვალისწინების გარეშე მომზადების შედეგად ყოველწლიურად ვერ ხერხდება 100-მდე ახალგაზრდა სპეციალისტის შრომითი მოწყობა, განაწილების მიხედვით გამოუცხადებელთა, სამუშაოზე დაუმაგრებელთა, საპატიო და არასაპატიო მიზეზით გადანაწილებულთა რაოდენობა ქმნის იმის პირობებს, რომ პრაქტიკულად ყოველი წლის კურსდამთავრებულთაგან ყოველი მესამე-მეოთხე სპეციალისტი მაშინვე არ ებმება შრომით საქმიანობაში, ამიტომ დღეისათვის რესპუბლიკაში 5601 დროებით უმუშევარი პედაგოგია (მასწავლებელთა განსაკუთრებით ჭარბი რაოდენობა დაგროვდა ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, გორში, რუსთავში), ზოგი თვითონ ეძებს სამუშაოს, ხშირად კი მუშაობას იწყებს არასპეციალობის მიხედვით, რაც ზოგჯერ გამოწვეულია გულგატეხილობით პროფესიის მიმართ, მაშინ როდესაც მაღალმთიან და შორეულ რაიონებს აკლიათ სხვადასხვა საგნის სპეციალისტები.

კადრების სამმართველო

დანართი № 1

| № | უმაღლესი სასწავლებლების დასახელება | დაამთავრა | განაწილების გეგმა (მინ. საბ) | განაწილდა | განაწილდა სამინისტროს სისტემაში |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 636 | 402 | 586 | 117 |
| 2. | მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 256 | 2 7 | 191 | 173 |
| 3. | ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პ/ინსტიტუტი | 480 | 420 | 244 | 221 |
| 4. | ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტი | 171 | 137 | 79 | 49 |
| 5. | ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პ/ინსტიტუტი | 262 | 192 | 212 | 165 |
| 6. | ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პ/ინსტიტუტი | 72 | 67 | 59 | 25 |
| 7. | ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პ/ინსტიტუტი | 149 | 104 | 124 | 105 |
| 8. | შ. რუსთველის სახ. ბათუმის პ/ინსტიტუტი | 208 | 161 | 146 | 145 |
| | ს უ ლ | 2294 | 1720 | 1713 | 1030 |

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

## უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების გეგმის შესრულების პროცენტი საგნების მიხედვით

| ქართული ენა და ლიტერატურა | რუსული ენა და ლიტერატურა | უცხოური ენები | მათემატიკა ფიზიკა | ბიოლოგია ქიმია გეოგრაფია | ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა | ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა | ფიზაღზრდა | დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა | ახალგაზრდა სპეციალისტების გამოცხადება (ყველა სპეციალობის მიხედვით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 46,7 | 67,8 | 45,5 | 72,3 | 52,4 | 52,7 | 80,0 | 87,0 | 69,9 | 64,3 |

დანართი № 3

# ცნობები

უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების და ადგილებზე გამოცხადების შესახებ (სპეციალობების მიხედვით)

| სპეციალობები | ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობა, რომელიც დააკლდა სკოლებს განაწილების გეგმის შეუსრულებლობის გამო. | ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობა, რომლებიც არ გამოცხადდნენ განაწილების მიხედვით | სკოლებსა და განათლების სისტემის სხვა დაწესებულებებს სულ დააკლდა ახალგაზრდა სპეციალისტი |
|---|---|---|---|
| მშობლიური ენა და ლიტერატურა | 131 | 10 | 141 |
| რუსული ენა და ლიტერატურა | 56 | 13 | 69 |
| უცხოური ენები | 161 | 10 | 171 |
| მათემატიკა-ფიზიკა | 157 | 32 | 189 |
| ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია | 151 | 20 | 171 |
| ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობა | 43 | 7 | 50 |
| ზოგადტექნიკური დისციპლინა | 8 | 4 | 12 |
| ფიზაღზრდა | 7 | 18 | 25 |
| პედაგოგიკა და მეთოდიკა | 33 | 13 | 46 |
| სულ | 774 | 137 | 884 |

დანართი №4

| № | უმაღლესი სასწავლებლის დასახელება | დაამთავრა | განაწილდა გან. სამ. სისტემაში | გამოცხადდა | არ გამოცხადდა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 686 | 117 | 101 | 16 |
| 2. | მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 266 | 173 | 152 | 21 |
| 3. | ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პ/ინსტიტუტი | 480 | 244 | 221 | 23 |
| 4. | ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტი | 171 | 49 | 44 | 5 |
| 5. | ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პ/ინსტიტუტი | 262 | 165 | 154 | 11 |
| 6. | ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პ/ინსტიტუტი | 72 | 31 | 25 | 6 |
| 7. | ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პ/ინსტიტუტი | 149 | 105 | 82 | 23 |
| 8. | შ. რუსთველის სახ. ბათუმის პ/ინსტიტუტი | 208 | 145 | 125 | 20 |
| | სულ | 2294 | 1030 | 904 | 125 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 5

| № | უმაღლესი სასწავლებლის დასახელება | განაწილების გეგმა | განაწილდა: გან. სამ. სისტემა-ში | განაწილდა: სხვა უწყებებში |
|---|---|---|---|---|
| 1. | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 402 | 117 | 469 |
| 2. | მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 217 | 173 | 18 |
| 3. | ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პ/ინსტიტუტი | 420 | 244 | 71 |
| 4. | ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტი | 137 | 49 | 30 |
| 5. | ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პ/ინსტიტუტი | 192 | 165 | 47 |
| 6. | ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პ/ინსტიტუტი | 67 | 31 | 28 |
| 7. | ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პ/ინსტიტუტი | 104 | 105 | 19 |
| 8. | შ. რუსთველის სახ. ბათუმის პ/ინსტიტუტი | 181 | 145 | 1 |
| | სულ | 1720 | 1030 | 683 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი №6

# 1979 წელს პედინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის გეგმა

| რაიონის დასახელება | გეგმა | ჩარიცხა |
|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 54 | 24 |
| აჭარის ასსრ | 41 | 38 |
| ს/ოსეთის ა/ო | 23 | 5 |
| აბაშის რაიონი | 5 | 2 |
| ადიგენის რაიონი | 1 | — |
| ამბროლაურის რაიონი | 5 | 2 |
| ასპინძის რაიონი | 3 | 1 |
| ახალქალაქის რაიონი | 5 | — |
| ახალციხის რაიონი | 2 | — |
| ახმეტის რაიონი | 2 | — |
| ბოგდანოვკის რაიონი | 1 | — |
| ბორჯომის რაიონი | 4 | — |
| გეგეჭკორის რაიონი | 5 | — |
| დმანისის რაიონი | 4 | 2 |
| დუშეთის რაიონი | 2 | — |
| ვანის რაიონი | 2 | — |
| ზუგდიდის რაიონი | 16 | 4 |
| თიანეთის რაიონი | 5 | 1 |
| თ/წყაროს რაიონი | 7 | 1 |
| კასპის რაიონი | 4 | — |
| ლანჩხუთის რაიონი | 5 | 4 |
| ლენტეხის რაიონი | 6 | — |
| მესტიის რაიონი | 13 | 1 |
| ონის რაიონი | 5 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| ორჯონიკიძის რაიონი | 1 | — |
| სამტრედიის რაიონი | 2 | — |
| საჩხერის რაიონი | 5 | 1 |
| ქარელის რაიონი | 4 | — |
| ყაზბეგის რაიონი | 6 | 2 |
| ყვარლის რაიონი | 3 | — |
| ჩოხატაურის რაიონი | 5 | — |
| ჩხოროწყუს რაიონი | 7 | — |
| ცაგერის რაიონი | 7 | 1 |
| წალენჯიხის რაიონი | 1 | — |
| წალკის რაიონი | 5 | — |
| წულუკიძის რაიონი | 2 | — |
| ხაშურის რაიონი | 1 | — |
| ხობის რაიონი | 3 | — |
| ტყიბულის რაიონი | 1 | — |
| ჭიათურა | 2 | — |
| სულ | 275 | 91 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1980 წლის 19 ივნისის ერთობლივი

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### სასკოლო ინტერნატების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

სასკოლო ინტერნატების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე (თან ერთვის) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ცნობა სასკოლო ინტერნატების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

2. სასკოლო ინტერნატების მე-2 რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებულად ჩაითვალოს:

მერისი (ქედის რაიონი) სასკოლო ინტერნატი — I ადგილი.

ქვეშეთის (დუშეთის რაიონი) სასკოლო ინტერნატი — II ადგილი

ვანათის (ცხინვალის რაიონი) სასკოლო ინტერნატი — III ადგილი.

3. დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სიგელებით:

ა) ქედის, დუშეთის, ცხინვალის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები: ამხ. ამხ. მ. ზაქარაძე, ქ. ბაშარული, ე. ტასოევი;

ბ) მერისისა და ქვეშეთის სასკოლო ინტერნატების გამგეები: ამხ. ამხ. მ. დიასამიძე და ვ. ბუჩუკური, ვანათის საშუალო სკოლის დირექტორი ზ. კულუმბეგოვა;

გ) აღმზრდელები: ამხ. ამხ. ნ. სანიკიძე, ვ. თურმანიძე, ქ. ქათამაძე, ნ. ბეჟანიძე (მერისი), ვ. ბურდული (ქვეშეთი), ა. ალბოროვა, რ. გაბარაევა, ფ. ხეთაგუროვა (ვანათი);

დ) ადგილკომის თავმჯდომარეები: ამხ. ამხ. მ. ტრეტიაკი (ქედა), თ. ნადიბაიძე (ქვეშეთი), ს. ხეთაგური (ვანათი).

4. სახალხო განათლების, კომკავშირისა და პროფკავშირის ადგილობრივმა ორგანოებმა იზრუნონ სასკოლო ინტერნატების მუშაობის პირობების, ბავშვთა კვების გაუმჯობესებისათვის, განაზოგადონ საუკეთესო კოლექტივების მუშაობის გამოცდილება.

5. ლენინგორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ნ. ხეთეევი) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის გამოყვანა ლენინგორის 1-ლ საშუალო სკოლასთან არსებული ინტერნატის შენობიდან.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) უზრუნველყოს სასკოლო ინტერნატების აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლება, მოწინავე სასკოლო ინტერნატების მუშაობის გამოცდილების განზოგადება.

7. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) შეისწავლოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მუშაობა სასკოლო ინტერნატების მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში.

8. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გაითვალისწინოს სასკოლო ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება, მათი მომარაგება საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარით, სათამაშოებით.

9. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ბ. აფხაზავა) შეიმუშაოს სასკოლო ინტერნატების მშენებლობის გეგმა მოთხოვნათა

შესაბამისად, დააჩქაროს მათი ავარიული და დაქირავებული შენო-ბებიდან გამოყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ითარგმნოს და დაიგზავნოს ადგილებზე დებულება დანართებით დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებთან არსებული ინტერნატების შესახებ და მეთოდური წერილი „საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მუშაობა სასკოლო ინტერნატში“.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) დააწესოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ჟ. შარტავა

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცნობა

## სასკოლო ინტერნატების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად 1979—1980 სასწავლო წელს ჩატარდა სასკოლო ინტერნატების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერება.

დებულების შესაბამისად დათვალიერება ჩატარდა ორ ეტაპად: პირველი ეტაპი ადგილობრივი კომისიების მიერ ჩატარდა ოქტომბერ-თებერვალში რესპუბლიკის ყველა რაიონში, სადაც არის სასკოლო ინტერნატები, ხოლო მეორე — მაისში რესპუბლიკური კომისიის მიერ აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, დუშეთის, საგარეჯოს, კასპის, გორის, ქარელის, ამბროლაურის, ონის რაიონებში წარმოდგენილი მასალების თანახმად.

დათვალიერებამ ხელი შეუწყო სასკოლო ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მათი მუშაობის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის, მათი სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებას.

წარმოდგენილი მასალების თანახმად მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული სასკოლო ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესებისათვის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად.

გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა სასკოლო ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზა. 1978—1979 წლებში ექსპლუატაციაში გადაეცა 26 სასკოლო ინტერნატის შენობა, ხოლო 1980 წლის ბოლომდე დამთავრდა 6 შენობა, გარდამავალ მშენებლობაშია — 7.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, კვების ორგანიზაცია, კავშირი საშეფო ორგანიზაციებთან, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ფორმები და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მერისის (ქედის რაიონი), ქვეშეთის (დუშეთის რაიონი), ვანათის (ცხინვალის რაიონი) სასკოლო ინტერნატები (დირექტორები: ამხ. ამხ. მ. დიასამიძე, ვ. ბუჩუკური, ზ. კულუმბეგოვა).

აღნიშნული სასკოლო ინტერნატები მოთავსებულია ტიპიურ შენობებში. საძინებელი ოთახები ფართო და ნათელია, აღსაზრდელთათვის გამოყოფილია თვითმომზადებისა და დასასვენებელი ოთახები, გოგონებისათვის — ჰიგიენური ოთახი. უზრუნველყოფილნი არიან რბილი და მაგარი ინვენტარით, სხვადასხვა საკრავი ინსტრუმენტებით, ტელევიზორითა და რადიოთი, ფირსაკრავებით და სათამაშოებით. კეთილმოწყობილია სასადილოები. მერისის (ქედა) სასკოლო-ინტერნატის სასადილო გათვალისწინებულია 50 ბავშვზე, კვება მერისისა და ვანათის სასკოლო ინტერნატებში სამჯერადია, ხოლო ქვეშეთში (დუშეთის რაიონი) ოთხჯერადი. სასკოლო ინტერნატები სისტემატურად მარაგდებიან ხორცით, კარაქით, ბურღულით, კარტოფილით, ბოსტნეულით, რძითა და რძის პროდუქტებით.

კერძების კალორიულობა, ძირითადად, დაცულია. სკოლის ნაკვეთზე მოყვანილ ბოსტნეულს იყენებს მერისის სასკოლო ინტერნატი. აქვე გამოყოფილია აღმზრდელთა საკონტროლო ჯგუფი, რომელიც დარჩენილ გამოუყენებელ პროდუქტს აქტით აბარებს საკუჭნაოს. შედარებით ერთფეროვანია კვება ვანათის სასკოლო ინტერნატში.

სამივე საკოლო ინტერნატი გამოირჩევა სანიმუშო სისუფთავითა და წესრიგით, ზუსტად სრულდება დღის რეჟიმი და სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხები.

კარგად არის ორგანიზებული მოსწავლეთა თვითმომზადება, რაშიც მოსწავლეებს დახმარებას უწევენ საგნის მასწავლებლები. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისის სასკოლო ინტერნატში შექმნილია სპეციალური სასწავლო კომისია, რომელიც არეგულირებს ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას (აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა, დამატებითი მეცადინეობის ორგანიზაცია). გატარებული ღონისძიებების შედეგად ამაღლდა აკადემიური მოსწრება. მიუხედავად ამისა ვანათის სასკოლო ინტერნატის აღსაზრდელთა მოსწრება III მეოთხედში შეადგენდა მხოლოდ 88%, ხოლო ქვეშეთის — 96,7%.

სისტემატურად ტარდება სამედიცინო შემოწმება და პროფილაქტიკური ღონისძიებანი, იგრძნობა ოჯახური გარემო.

სათანადო სიმაღლეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. აღსაზრდელებთან ტარდება მრავალფეროვანი და შინაარსიანი ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდის საკითხებს. აღმზრდელობითი მუშაობა წარმოებს ვ. ი. ლენინისა და მის თანამებრძოლთა ცხოვრების მაგალითებზე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე. ეწყობა შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან. აღსაზრდელებს კავშირი აქვთ სკოლის კურსდამთავრებულებთან.

სამივე სასკოლო ინტერნატში აღსაზრდელები ჩაბმულნი არიან სხვადასხვა წრეებში. სპორტული მუშაობით გამოირჩევა ქვეშეთის სასკოლო ინტერნატი, სადაც შექმნილია ფრენბურთის, ფეხბურთისა და სათხილამურო წრეები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ხალხურ ნაციონალურ ნაკეთობათა წარმოებას (ქსოვა, რთვა).

მერისის სასკოლო ინტერნატში წარმოებს დაკვირვება აღსაზრდელებზე, რაც ასახვას პოულობს სპეციალური პედაგოგიური დაკვირვების ჟურნალში.

სასკოლო ინტერნატების მუშაობის საკითხი მოსმენილია საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

აღმზრდელთაგან თავიანთი მუშაობით გამოირჩევიან: ნ. სანიკიძე, ვ. თურმანიძე, ქ. ქათამაძე, ნ. ბეჟანიძე (მერისი), ვ. ბურდული (ქვეშეთი), ალ. ალბაროვა, რ. გაბარაევა, ფ. ხეთაგუროვა (ვანათი).

მიუხედავად რიგი წარმატებებისა, რესპუბლიკის სასკოლო ინტერნატებში აღინიშნა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი. შეიმჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნევა სასკოლო ინტერნატების რაოდენობის შემცირების ტენდენცია. დღეისათვის რესპუბლიკაში მოქმედებს 163 სასკოლო ინტერნატი (171 — 1979 წ.), რომლებშიც გაერთიანებულია 4707 მოსწავლე (4831—1979 წ.), რაც სკოლიდან 3 კმ. და მეტი მანძილით დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა (64513) 7,2% შეადგენს. ამასთან, მოგვარებულია მხოლოდ 36882 მოსწავლის (57,1%) უფასო ტრანსპორტით გადაყვანა, ხოლო 41589 მოსწავლეს (35—7% ფეხით სიარული უხდება.

რიგი სასკოლო ინტერნატის მატერიალური ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ფიცრულ შენობაშია მოთავსებული ხულოს რაიონის ზოგიერთი სასკოლო ინტერნატი. სიონის (თიანეთის რაიონი) სასკოლო ინტერნატი მოთავსებულია ხის ბარაკის ტიპის შენობაში, რომელსაც სიძველის გამო ვერ უკეთდება რემონტი. დაქირავებულ და შეგუებულ შენობებშია ბოლნისის რაიონის 9, ცაგერის, მარნეულის რაიონის ოფრეთის, ჩოხატაურის რაიონის ქვაბლის, დმანისისა და სხვა რაიონების სასკოლო ინტერნატები. ლაგოდეხის რაიონის ერეთისკარის სასკოლო ინტერნატის შენობა აგებულია XIX საუკუნის დასაწყისში. საჭიროა მისი რეკონსტრუქცია და ხის ნაწილების შეცვლა. ელექტროგაყვანილობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. ახმეტის რაიონის აწყურის სასკოლო ინტერნატიც შეგუებულ შენობაშია მოთავსებული და, ამასთან, სკოლიდან თითქმის 3 კმ არის დაშორებული. გათვალისწინებული იყო უმბათის (წალკის რაიონი) სასკოლო ინტერნატის აშენება, მაგრამ ჯერ-ჯერობით მშენებლობა არ არის დაწყებული. ბოგდანოვკის რაიონის გორელოვკის სასკოლო ინტერნატისათვის აშენდა ტიპიური შენობა, მაგრამ ქვაბები მცირე სიმძლავრისაა, ვერ ათბობს შენობას და იყენებენ თუნუქის ღუმელებს. ლენინგორის 1-ლ საშუალო სკოლასთან არსებული ინტერნატი მოთავსებულია ტიპიური შენობის მეორე სართულზე, ხოლო პირველი სართული დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლას უჭირავს, რაც ხელს უშლის მუშაობას.

სივიწროვეს განიცდის მანგლისის (თეთრიწყაროს რაიონის) სასკოლო ინტერნატი, რომელიც გათვალისწინებულია 60 ბავშვზე, ფაქტიურად კი მასში ცხოვრობს 115 ბავშვი, ხოლო გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონისა და კიწიის, ბორჯომის რაიონის ტაბაწყურის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## О дальнейшем расширении проводимого в республике педагогического эксперимента с целью совершенствования обучения русскому и иностранному языкам

**10 июля 1980 года**

Во исполнение праказа Министерства просвещения Грузинской ССР № 747 от 31 октября 1977 года и решений коллегий от 29 сентября 1978 года и 19 июля 1979 года в средних школах №№ 163, 147 г. Тбилиси, № 22 города Батуми, села Мухрани Мцхетского района, села Хуцубани Кобулетского района с целью дальнейшего совершенствования обучения русскому и иностранному языкам проводился педагогический эксперимент по русскому языку; в прошлом 1979/80 учебном году к их числу прибавились школы Абхазской и Аджарской АССР, Юго-Осетинской АО, а также школы Горийского, Гурджаанского, Душетского, Зестафонского, Зугдидского, Лентехского, Мцхетского, Онского, Сагареджойского, Ткибульского, Чохатаурского районов, где данный эксперимент проводился только по русскому языку.

Ознакомившись с анализом и итогами проведенной работы, представленными научно-исследовательским институтом педагогических наук имени Я. Гогебашвили, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР считает целесообразным дальнейшее расширение эксперимента.

Коллегия решила:

1. Продолжить проводимый с целью совершенствования изучения русского языка эксперимент в средних школах № 163, 147 г. Тбилиси, № 22 г. Батуми, в Мухранской школе Мцхетского района, а также в школах Абхазской и Аджарской АССР, Юго-Осетинской АО, Горийского, Гурджаанского, Душетского, Зестафонского, Зугдидского, Лентехского,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Мцхетского, Онского, Сагареджойского, Ткибульского, Чохатаурского районов.

2. В школах №№ 163, 147 г. Тбилиси, № 22 г. Батуми, с. Мухрани Мцхетского района, с. Хуцубани Кобулетского района эксперимент по русскому языку продолжить, а в школах Абхазской и Аджарской АССР, Юго-Осетинской АО, Горийского, Гурджаанского, Душетского, Зестафонского, Зугдидского, Лентехского, Мцхетского, Онского, Сагареджойского, Ткибульского и Чохатаурского районов в тех экспериментальных пятых классах, где в прошлом году проводилась экспериментальная работа по русскому языку, ввести экспериментальное изучение и иностранного языка.

3. С 1980—1981 учебного года в четвертых классах Тбилисской 147-й и Мухранской Мцхетского района средних школах ввести экспериментальное изучение русского, а в пятых классах иностранного языков с тем, чтобы экспериментальная работа постепенно охватила все классы двух указанных школ.

4. Научно-исследовательскому институту педнаук им. Я. Гогебашвили (тов. Г. Сакварелидзе) к 1 ноября 1980 года разработать конкретные методические указания с целью повышения эффективности экспериментального изучения русского и иностранного языков во II полугодии в условиях внеклассной работы.

Представителям дирекции соответствующих школ и местным органам народного образования обеспечить практическое осуществление данных методических указаний.

5. Поручить Центральному и Тбилисскому городскому институтам усовершенствования учителей (тов. тов. М. Дарчиа ,Д. Тодуа), отделам народного образования Первомайского г. Тбилиси и Мцхетского районов (тов. тов. Г. Гахеладзе, Т. Абесадзе), а также перечисленным в пункте 1, 2 данного решения соответствующим местным институтам усовершенствования учителей автономных республик и области, отделам народного образования соответствующих районов обес-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

печить руководство и контроль в деле осуществления экспериментальной работы по изучению русского и иностранного языков и в конце учебного года в Министерство просвещения Грузинской ССР представить обоснованное заключение об итогах эксперимента и о целесообразности дальнейшего его расширения.

6. Управлению учебников и библиотечных фондов Министерства просвещения (тов. Н. Глонти) к началу первого, а затем второго семестров 1980/81 учебного года в связи с расширением эксперимента отпечатать методические указания и рекомендации по русскому и иностранному языкам, разработанные и подготовленные Научно-исследовательским институтом педнаук им. Я. Гогебашвили.

7. Редакции журнала «Скола да цховреба» (тов. А. Гогелиа) в номерах третьего квартала соответствующих приложений напечатать в сокращении отмеченные выше методические указания и рекомендации.

8. Научно-исследовательскому институту педагогических наук им. Я. Гогебашвили (тов. Г. Сакварелидзе) оказывать методическое руководство и помощь учителям тех классов, где будет осуществляться экспериментальное обучение русскому и иностранному языкам.

9. Управлению школ (тов. К. Суджашвили) установить контроль за выполнением данного решения.

**Председатель коллегии**

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიების 1980 წლის 16—29 ივლისის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული კოლეგიის 1979 წლის 23-28 ივნისის №№ 11,2—1/6 გადაწყვეტილებით დასახული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობის შ ე ს ა ხ ე ბ**

გაერთიანებული კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და სატყეო მეურნეობებმა. ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით და ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობა გასწიეს სასკოლო სატყეოების შექმნის, მათში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმის და სასკოლო სატყეოს დებულებით გათვალისწინებული მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულების საქმეში.

მიმდინარე წლის მარტში შემოწმებულ იქნა ლაგოდეხის, დუშეთის, ხაშურისა და ვანის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებისა და სატყეო მეურნეობების მიერ გაწეული მუშაობა ტყის გაშენებისა და მოვლის თვალსაზრისით. შემოწმებით გაირკვა, რომ სასკოლო სატყეოები შექმნილია ლაგოდეხის რაიონის 14, დუშეთის რაიონის 21, ვანის რაიონის 29 და ხაშურის რაიონის 13 საშუალო და რვაწლიან სკოლასა და სკოლა-ინტერნატში, რომლებშიც გაერთიანებულია 3123 მოსწავლე.

მოსწავლე ახალგაზრდობა სკოლისგარეშე და კლასგარეშე სხვა ღონისძიებებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ტყეების გაშენებისა და მოვლა-დაცვის საქმეში. კოლექტიურ შრომა-საქმიანობასთან ერთად მოსწავლეები იღრმავებენ ბიოლოგიაში, გეოგრაფიასა და სხვა საგნებში მიღებულ თეორიულ ცოდნას. მეტყევე სპეციალისტებთან ურთიერთკავშირით ეცნობიან ტყეების საკურორტო, ნიადაგდაცვით, წყლისა და კლიმატის მარეგულირებელ მნიშვნელობას. თვითცნობიერდებიან ტყის დიდ მნიშვნელობაში ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჩამოყალიბებისათვის. ტყესთან ურთიერთობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდ თაობას მატებს შემოქმედებით ძალას და ენერგიას უნერ-გავს ჰუმანიზმს, მშობლიური მხარისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობას.

ზემოთ ჩამოთვლილი რაიონების ნორჩი მეტყევეების მიერ გასული წლის მარტო 5 თვეში შესრულებულია ტყის კულტურების, სანერგე, სკოლა-პლანტაციების მოვლითი სამუშაოები, რის შედეგადაც გამომუშავებულია 4767 მანეთი.

აღსანიშნავია ხაშურისა და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებებისა და სატყეო მეურნეობების მუშაობა. სასკოლო სატყეოების ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორს შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის დარგში ამხ. ი. მაჭარაშვილს, დუშეთის რაიონში — ამხ. ლ. ა. მაისურაძეს. მათ მიერ რამოდენიმეჯერაა შემოწმებული და შესწავლილი სასკოლო სატყეოების მუშაობა, საკითხები გატანილი აქვთ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე. განათლების განყოფილების სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია სასკოლო სატყეოების მუშაობის საკითხი. გამოყენებული აქვთ მოწინავე ნორჩ მეტყევეთა წახალისების სხვადასხვა ფორმები.

განათლების დარგისა და სატყეო მეურნეობების სპეციალისტების მეშვეობით პრაქტიკაშია დანერგილი ფართო აუდიტორიის წინაშე საუბრებისა და ლექციების ჩატარება. ასე მაგალითად: ლაგოდეხის სატყეო მეურნეობის მუშაკების მიერ მიმდინარე წელს ჩატარებულ იქნა ლექციების ციკლი ფლორისა და ფაუნის დაცვა-გამრავლების შესახებ. დუშეთის სატყეო მეურნეობის მუშაკების მიერ ჩატარებული იქნა ლექცია-მოხსენებები 10 საშუალო და 6 რვაწლიან სკოლაში.

მიუხედავად ჩატარებული ერთგვარი დადებითი მუშაობისა, სასკოლო სატყეოების საქმიანობაში შეიმჩნევა მთელი რიგი ნაკლოვანებები. ზემოაღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებებს და სატყეო მეურნეობების ხელმძღვანელებს მჭიდრო კავშირი არა აქვთ დამყარებული კომკავშირის ადგილობრივ რაიკომებთან და მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ განათლების, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტროების კოლეგიების 1978 წლის 30 ნოემბრის № 2-30/14 დაწყვეტილება, სასკოლო სატყეოს დებულება და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიების 1979 წლის 23-28 ივნისის № 11,2-1/6 გადაწყვეტილებათა მოთხოვნები.

შესწავლილი რაიონების ტერიტორიაზე არსებული 163 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სკოლა-ინტერნატიდან სასკოლო სატყეოები შექმნილია მხოლოდ 73-ში. ლაგოდეხის რაიონის 33 სკოლისა და სკოლა-ინტერნატიდან სასკოლო სატყეოები შექმნილია მხოლოდ 14 სკოლაში, დუშეთის რაიონში 37-დან 17-ში, ვანის რაიონში 32-დან 29-ში, ხოლო ხაშურის რაიონში 31-დან 13-ში.

აღნიშნული სკოლების უმრავლესობაში შექმნილი სასკოლო სატყეოები ფორმალურ ხასიათს ატარებენ, არ გააჩნიათ სასკოლო სატყეოების დებულება, სასკოლო სატყეოს ჩამოყალიბების შესახებ საერთო კრების ოქმი, ბრძანება სასკოლო სატყეოს შექმნის შესახებ, წლიური სამუშაო გეგმა, ხელშეკრულება სატყეო მეურნეობებთან (სკოლისა და სატყეო მეურნეობის ვალდებულება) და სხვა. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ბუნების დაცვის საკითხებს. დაბალ დონეზე დგას სასწავლო-საცდელი მუშაობა, სუსტია პროპაგანდა მოსწავლეებში ბუნების დაცვა-გამრავლების საქმეში მათი აქტიური მონაწილეობის მისაღებად. არ ხორციელდება მოწინავე სასკოლო სატყეოების გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება და გაწეული საქმიანობის განზოგადება (ხაშურისა და ლაგოდეხის რაიონებში). თავის დროზე არ გზავნიან მოთხოვნილ ანგარიშებს სასკოლო სატყეოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და სხვა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებულმა კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს დუშეთის, ვანის, ლაგოდეხისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს (ამხ. ამხ. ქ. ბაშარული, პ. კორძაძე, გ. ლობჟანიძე, შ. ლაბაძე).

1.1. განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ საკითხი რაიონის ტერიტორიაზე არსებული ტყეების დაცვისა და ტყის რესურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სების რაციონალურად გამოყენების საქმეში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ.

1.2. შესაძლებლობის ფარგლებში უმოკლეს დროში, სადაც არ არის, შექმნან სასკოლო სატყეო ორგანიზაციები, ხოლო იქ სადაც არის, გარდაქმნან მუშაობა სასკოლო სატყეოს დებულების მიხედვით და საქმიანი კავშირი დაამყარონ სატყეო დაწესებულებებთან.

1.3. ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლების, სატყეო მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მეშვეობით მოსახლეობაში და მოსწავლეებთან პერიოდულად ჩაატარონ ლექცია-საუბრები ტყის დაცვა-გამრავლების შესახებ; შთაუნერგონ ტყისადმი სიყვარული და აქტიურად ჩააბან ისინი ბუნების დაცვისა და ტყის რესურსების გამრავლების საქმეში.

1.4. სკოლების სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ „ტყისა და ფრინველის დღის" ჩატარება და შედეგების განზოგადება. ამასთან ერთად, სოფლისა და სანატორიული ტიპის სატყეო სკოლებმა, კომკავშირის რაიკომების მდივნებთან და სატყეო მეურნეობების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, სასკოლო სატყეოს წევრებისათვის მოაწყონ ბანაკები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბანაკო შეკრების დროს ტყის დაცვის ღონისძიებების ფართოდ დანერგვას.

1. 5. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად მოსწავლე ახალგაზრდობას აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ საქართველოს ტყეების დათვალიერებაში.

1.6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა და რაიონულმა სადგურებმა, განათლების განყოფილებებმა და მეთოდურმა კაბინეტებმა საჭირო დახმარება გაუწიონ სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს სასკოლო სატყეოების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებში.

1.7. სასკოლო სატყეოს მიერ გაწეული საქმიანობის შეჯამება და მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება მოხდეს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების, ბუნების ნორჩი მეგობრებისა და ნორჩი ნატურალისტების ერთობლივ რაიონულ შეკრებებზე. ამასთანავე, ფართოდ დაინერგოს მოწინავეთა წახალისების სხვადასხვა ფორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.8. აღინიშნოს დუშეთის, ლაგოდეხის, ვანისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებებისა და სატყეო მეურნეობების სუსტი მუშაობა დისციპლინირებულ სკოლებში სასკოლო სატყეოების ჩამოყალიბების, ბუნებრივ სიმდიდრეთა მოვლა-დაცვისა და გამრავლებისათვის საჭირო პროპაგანდის, აღრიცხვის წარმოების, სასკოლო სატყეოების სამუშაო გეგმების შედგენისა და განხორციელების, გაწეული მუშაობის შედეგებზე ზემდგომ ორგანოებში ანგარიშის დროულად წარდგენის საქმეში.

2. დაევალოს დუშეთის, ლაგოდეხის, ხაშურისა და ვანის რაიონების სატყეო მეურნეობათა დირექტორებს:

2.1. მჭიდრო კავშირი დაამყარონ თავიანთი რაიონების განათლების განყოფილებებთან, კომკავშირის რაიკომებთან და მათი ხელშეწყობით და დახმარებით მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე დაამთავრონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სასკოლო სატყეოების ჩამოყალიბება, ხოლო იქ სადაც ასეთის შექმნა მიზანშეუწონელია, სამინისტროს წარმოუდგინონ განათლების განყოფილებასთან შეთანხმებული დასაბუთებული დასკვნა.

2.2. სატყეო მეურნეობის სპეციალისტების საშუალებით პერიოდულად გასწიონ პროპაგანდა მოსწავლე ახალგაზრდობის და მშრომელთა დასარწმავად ბუნების სიმდიდრეთა საარსებო მნიშვნელობის შესახებ, მისი მოვლა-დაცვისა და გამრავლებისათვის, რისთვისაც უზრუნველყონ საუბრებისა და ლექციების ჩატარება ფართო აუდიტორიის წინაშე. ამასთანავე, გამოიყენონ ადგილობრივი პრესა და რადიოქსელი, აწარმოონ ჩატარებული ღონისძიების აღრიცხვა.

2.3. ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ სასკოლო სატყეოებს სამუშაო გეგმების შედგენაში და მათ განხორციელებაში. რაიონების განათლების განყოფილებებთან ერთად მოახდინონ მოწინავე სასკოლო სატყეოებისა და მოწინავე ნორჩი მეტყევეების გამოცდილების განზოგადება, გაწეული მუშაობის შეჯამება რაიონულ შეკრებებზე; ამასთან ფართოდ წაახალისონ მოწინავენი.

2.4. განათლების რაიონულმა (საქალაქო) განყოფილებებმა და სატყეო მეურნეობებმა ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ განათლებისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროებს წარმოუდგინონ 1980 წლის 1 დეკემბრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის აღდგენისა და კეთილმოწყობის სამმართველოს (ამხ. ო. გამცემლიძე).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი

შ. ჭალაგანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 24 ივლისის

## გადაწყვეტილება

### „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე" საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილის განხილვის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 14 მარტის კოლეგიის გადაწყვეტილების შესაბამისად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, აგრეთვე ორგანიზაციებსა და წარმოება-დაწესებულებებში განიხილეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილი „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ".

მთელ რიგ რეგიონებში (აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და პირველი მაისის, ასპინძის, ლენტეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, მცხეთის, საგარეჯოს, თელავის, ცაგერის და სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები) აღნიშნული წერილის განხილვას მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მისმა განხილვამ საერთო სახალხო ხასიათი მიიღო.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დიდ ნაწილში ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთდა სასკოლო ცხოვრებაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს. პრინციპული შეფასება მიეცა ნაკლოვანებებს, დარღვევებს და დამახინჯებებს. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს ადგილებზე პრინციპული შეფასება მისცეს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. მთელი რიგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების დირექტორები, მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდე-ლობითი მუშაობის დარგში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორები და პედაგოგები ნიშნების გადასწორების, სასკოლო ქონების, მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული თანხების მით.-ვისების, გაფლანგვა-განიავების, ხალხმრავალ ქეიფებში მონაწილეობისათვის გადაყენებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან, დაედოთ პარტიული ან ადმინისტრაციული სასჯელი.

ამასთან დადგინდა, რომ რიგ რაიონებსა და ქალაქებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილი განხილულია ფორმალურად. ასე მაგალითად, ხაშურის, ვანის, ორჯონიკიძის, ბოგდანოვკის რაიონების და გაგრის ზონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე შემოიფარგლნენ მხოლოდ წერილის წაკითხვით. აღნიშნული რაიონების სკოლებში არ გამოთქმულა არც ერთი კრიტიკული შენიშვნა სკოლის რომელიმე მუშაკის მიმართ.

თავის მხრივ ზემოდასახელებული რაიონების სახალხო განათლების დარგის ხელმძღვანელებმა არ გამოიჩინეს სათანადო პასუხისმგებლობა ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვისადმი. ისინი დაკმაყოფილდნენ ადგილებიდან მიღებული ზერელე ინფორმაციებით, რომლებშიც მხილებული არ არის სკოლის ცალკეულ მუშაკსა და მშობლებს შორის არსებული მახინჯი ურთიერთობის, პროტექციონიზმის, სკოლის პედაგოგთა, დირექტორებისა და მათი მოადგილეების უპრინციპობის, გულგრილობის არც ერთი მაგალითი, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ მსგავსი ფაქტები აღნიშნულ სკოლებში მრავლად მოიპოვება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ კიდევ ფესვგამდგარი ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად მუშაობის გაგრძელების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილის „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“ შესაბამისად აამაღლონ სკოლის თითოეული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის. მკაცრად მოსთხოვონ იმათ, ვინც თავისი უღირსი ქცევით არცხვენს მასწავლებლის ავტორიტეტს. სასკოლო მუშაობის საკითხების შეფასებისას იხელმძღვანელონ აღნიშნული წერილით.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორებმა მკაცრი კონტროლი დააწესონ მათზე გაპიროვნებულ ზონებში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების შესრულებაზე.

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. თ. ჩუბინიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1980 წლის 24 ივლისის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### მასწავლებლებისა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა მორალური სტიმულირებისათვის განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების მიერ გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად, სახალხო განათლების სრულყოფისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, მოსწავლეთა სწავლების ხარისხის ამაღლებისა და აღზრდის საქმეში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს დადგენილების „შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობაში კადრების დენადობის შემცირების შესახებ“ შუქზე შრომის ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით ხორციელდება მორალური სტიმულირების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

მასწავლებელთა და აღმზრდელთა შემოქმედებითი შესაძლებლობების უფრო სრულყოფილად გამოყენებისათვის რიგი სახალხო განათლების განყოფილებები სწორად აწარმოებენ პედაგოგიური კადრების მორალურ წახალისებას, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლამდელ, სკოლისგარეშე და სხვა დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას. სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების ორგანოები და პროფკავშირის კომიტეტები მორალური სტიმულირების სხვადასხვა ფორმებს (შესაძლებლობის ფარგლებში) უთავსებენ მატერიალურ წახალისებებს. ამგვარი მუშაობა კი ხელს უწყობს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებას, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებასა და პედაგოგიური კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებას.

ამასთავანე, მორალური სტიმულირების საკითხთა გადაწყვეტის საქმეში ჯერ კიდევ არსებობს რიგი გამოუყენებელი შესაძლებლობანი და ნაკლოვანებები. პედაგოგიური კოლექტივები, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები, პროფკავშირის კომიტეტები სათანადოდ არ იყენებენ წახალისების პირველად ფორმებს. ზოგიერთ რაიონებსა და ქალაქებში არასაკმარისად გამოიყენება სიგელებით დაჯილდოება. ხშირად დასაჯილდოებელი კანდიდატურების შერჩევა არ წარმოებს მუშაკთა საქმიანობის წინასწარი შესწავლისა და პედაგოგიურ კოლექტივებში მათი განხილვის შემდეგ, რის შედეგად საუკეთესო მუშაკთა წახალისების საკითხთა განხილვისას ხშირად ირღვევა საჯაროობის პრინციპი. ზოგ შემთხვევაში ამგვარი პრაქტიკის დანერგვის შედეგად წახალისდებიან ხოლმე ისეთი მუშაკები, რომლებსაც არ გააჩნიათ ამისათვის საკმაო საფუძველი. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც რიგითი მასწავლებლებისა და აღმზრდელების მიერ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მიღწეული წარმატებები შეუმჩნეველი რჩება და სათანადოდ არ ფასდება. მცირეა წახალისებაზე წარმოდგენილ სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკთა რიცხვიც. „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდებაზე სახალხო განათლების ორგანოები, როგორც წესი, წარმოადგენენ ხოლმე მუშაკს მისი შრომითი საქმიანობის დასასრულს. არ ეთმობა სათანადო ყურადღება ახალგაზრდა მასწავლებელთა მორალური სტიმულირების, შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებისა და წახალისების მიზნით მათთან ჩასატარებელ სისტემატურ და მიზანდასახულ მუშაობას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი აქტივობის, შრომის ეფექტიანობის, შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. მცირეა 30 წლის ასაკს მიღწეულ დასაჯილდოებელ ახალგაზრდა პედაგოგთა რიცხვიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც პედაგოგიური მუშაობის 5-10 წლის სტაჟი აქვთ. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები, სახალხო განათლების განყოფილებები, რაიონებისა და ქალაქების მეთოდური კაბინეტები საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებლების მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების პროპაგანდისათვის არ იყენებენ ყველა საჭირო საშუალებას. არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ პედაგოგიური შრომის მოწინავეთა წახალისება რიგ შემთხვევაში ატარებს კამპანიურ ხასიათს და მოკლებულია სისტემატურობას.

სათანადო ყურადღება არ ექცევა, აგრეთვე, ცალკეულ რაიონებში პენსიაზე გასასვლელ განათლების მუშაკთა „შრომის ვეტერანის" მედლით დაჯილდოებას; შეიმჩნევა ნაკლოვანებები დაჯილდოების მასალების გაფორმებისას. რიგი რაიონების განათლების განყოფილებებში ცუდად წარმოებს დაჯილდოებულთა აღრიცხვა. წახალისების შესახებ ჩანაწერები ყოველთვის არ შეიტანება შრომის წიგნაკებში და სხვ.

განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად:

1.1. მიიღონ ზომები პედაგოგიური კადრების წახალისებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მასწავლებელთა, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკთა მორალური სტიმულირების შემდგომი სრულყოფის მიზნით, განახორციელონ მათი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის, შრომის ეფექტიანობისა და დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებები.

1.2. პირველ რიგში საგანგებო ყურადღება დაუთმონ მასწავლებლებისა და აღმზრდელების, პედაგოგიური კადრების მორალურ სტიმულირებას. წახალისების საკითხები სისტემატურად განიხილონ კოლეგიებზე, განათლების განყოფილების საბჭოს სხდომებსა და პროფკავშირის კომიტეტების პრეზიდიუმებზე.

1.3. სახალხო განათლების მუშაკთა მორალური სტიმულირების საკითხები შეისწავლონ სკოლის, სკოლამდელი, სკოლისგარეშე დაწესებულებების, რაიონის, ოლქისა და რესპუბლიკის დონეზე.

1.4. დაჯილდოების საკითხთა გადაწყვეტისას გააძლიერონ კონტროლი თანმიმდევრობის, სისტემატურობის, კოლეგიალობისა და საჯაროობის პრინციპთა დაცვაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ მასწავლებელთა და მუშაკთა წახალისებას, რომლებიც სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მუშაობენ და წარმატებით ახორციელებენ ახალგაზრდობისა და ბავშვთა სწავლებისა და კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

1.5. უზრუნველყონ სოციალისტური შრომის გმირ-მასწავლებელთა, სახალხო მასწავლებელთა, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელთა, მასწავლებელ-მეთოდისტთა, უფროს მასწავლებელთა და პედაგოგიური შრომის ოსტატთა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების პროპაგანდა. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ მეთოდური დაწესებულებების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და რაიონების (ქალაქების) მეთოდური კაბინეტების შესაძლებლობები.

1.6. მაღალი შრომითი წარმატებებისათვის მუშაკთა წარმოდგენისას მხედველობაში მიიღონ ერთ სკოლაში ან ერთ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მასწავლებლებისა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა უმწიკვლო მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა დინასტიების მორალურ წახალისებას, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ მასწავლებლის პროფესიის საპატიო ესტაფეტას.

1.7. მორალური და მატერიალური წახალისებისას გაითვალისწინონ იმ მუშაკთა უპირატესობანი, რომელთაც გააჩნიათ სოფლად მუშაობის უწყვეტი სტაჟი.

1.8. შეიმუშაონ ღონისძიებები ახალგაზრდა მასწავლებელთა მორალური სტიმულირების გაძლიერებისათვის.

1.9. პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ მასწავლებელთა აქტიურ შრომით ასაკში რესპუბლიკური და საკავშირო მთავრობის ჯილდოებსა და საპატიო წოდებებზე წარდგენა.

1.10. გამოიყენონ წახალისების ისეთი ფორმები, როგორიცაა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატიო დაფაზე, საპატიო ან შრომის დიდების წიგნებში შეტანა, გამოფენების მოწყობა, სადაც დემონსტრირებული იქნება საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილება, ამ გამოცდილების ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნება, პედაგოგიური შრომის მოწინავეთა საჯარო პატივისცემა, მადლობების გამოცხადება, სპეციალურ თათბირებზე (შეკრებებზე) საუკეთესოთა მოწვევა, ბუკლეტებისა და პლაკატების მასიური ტირაჟით გამოცემა, რომელზედაც ასახული იქნება მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება და სხვა.

2. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) 1982 წლისათვის უზრუნველყოს მასწავლებელთა კადრების მორალური სტიმულირების საკითხებთან დაკავშირებით (საუკეთესო გამოცდილება, რეკომენდაციები, ნორმატიული და ინსტრუქციული დოკუმენტები) ბროშურის გამოცემა.

3. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე) და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მასობრივი მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჟოლაძე).

**კოლეგიის თავმჯდომარე საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**

**ო. ქინქლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე**

**დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 25 ივლისის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 529

### პენსიაზე წარდგენის საქმეში არსებულ ზოგიერთ დარღვევათა შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არსებული მასალებით დასტურდება, რომ სახალხო განათლების მუშაკთა პენსიაზე წარდგენის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, სახელდობრ: ადგილებზე, ბევრგან, არ არიან გამოყოფილი თანამდებობის პირები, რომელთაც ევალებათ პასუხისმგებლობა პენსიის დასანიშნავად საჭირო დოკუმენტების შეკრება-გაფორმებაზე.

მთელ რიგ დაწესებულება-ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად ეკიდებიან საპენსიო დოკუმენტების დროულად და სწორად მომზადებისა და სოცუზრუნველყოფის ორგანოებში მათი წარდგენის საქმეს. წარდგენის ვადების უხეშად დარღვევის გამო სოცუზრუნველყოფის ორგანოები ზოგჯერ გვიან უნიშნავენ პენსიებს განათლების მუშაკებს. ბევრ სკოლასა და სხვა დაწესებულებაში პენსიის დანიშვნის შესახებ შემოსულ განცხადებებს რეგისტრაციაში არ ატარებენ, ასევე რეგისტრაციის გარეშე ტოვებენ სოცუზრუნველყოფის ორგანოებში გასაგზავნ დოკუმენტებსა და სხვა მასალებს.

შემჩნეულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პენსიაზე გამსვლელ პირთ, მათ შორის მასწავლებლებს, მაღალი პენსიის დანიშვნის მიზნით ხელოვნურად უდიდებენ ხელფასს და ა. შ.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა დაწესებულება-ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები და უახლოეს დროში აღმოფხვრან პენსიაზე მუშაკთა წარდგენის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, რისთვისაც:

1.1. დაწესებულება-ორგანიზაციათა ადმინისტრაციამ, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად დადგენილ ვადაში (10

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე) უზრუნველყოს პენსიის დასანიშნავად საჭირო დოკუმენტების მომზადება და დაწესებული სპეციალური ფორმის მიხედვით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში პენსიის გასაფორმებლად მათი წარდგენა.

1.2. თითოეულ დაწესებულება-ორგანიზაციაში (მათ შორის სკოლებში) გამოყონ პასუხისმგებელი პირები, რომელთაც დაევალებათ პენსიის დასანიშნავად საჭირო დოკუმენტების შეგროვება, გაფორმება და დროულად წარდგენისათვის მათი მომზადება.

1.3. აღკვეთონ პენსიაზე გამსვლელ პირთათვის მაღალი პენსიის დანიშვნის მიზნით ხელფასის ხელოვნურად გადიდების პრაქტიკა.

1.4. საპენსიო სტაჟის დადგენაზე, ხელფასის შესახებ დოკუმენტების სწორად და დაუგვიანებლად გაფორმებასა და სოცუზრუნველყოფის ორგანოებში დაწესებულ ვადებში წარდგენაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

1.5. განათლების სამინისტროს კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება.

**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1980 წლის 26 ივლისის

## დადგენილება

**მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების სანიმუშოდ დაყენებისათვის ჩატარებულ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული სკოლების მუშაკთა ქების სიგელებით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, ცეკავშირის გამგეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1980 წლის 24 ივნისის № 23-10-1182-63-46 ერთობლივი დადგენილებით მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების სანიმუშოდ დაყენებისათვის სასკოლო სასადილოების დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული და პრემირებული ქვემოთ ჩამოთვლილი მუშაკები დაჯილდოებულ იქნენ ქების სიგელებით:

1. ჩილინგარიძე სტეფანე ივანეს ძე — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი
2. ზარიფიანი ელენე არშაკის ასული — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში
3. კანოვიჩი მოსე ზეილიკის ძე — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
4. მეგრელიშვილი ინგა მიტროფანეს ასული — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი
5. უთურგაული ლილი კონსტანტინეს ასული — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
6. გუბაზი მიხეილ დავითის ძე — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის დირექტორი
7. როზოვა ზინაიდა ბორისის ასული — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე

8. ხაგბა ხარიტონ ხაკიბეის ძე — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამნეო ნაწილში.

9. გოლოვანოვი ჰასან გიორგის ძე — ფოთის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორი

10. ბაბილოძე დავით ფილიპეს ძე — ფოთის მე-8 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი

11. დიასამიძე მერაბ ოსმანის ძე — ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის დირექტორი

12. ტაკიძე ვენერა ტერენტის ასული — ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამნეო ნაწილში

13. თელია მანტელიანე ლავრენტის ძე — აბაშის რაიონის სოფელ მარნის საშუალო სკოლის დირექტორი

14. შენგელია ლუცია ვარლამის ასული — აბაშის რაიონის სოფელ მარნის საშუალო სკოლის აღმზრდელი

15. კარანაძე ლენა გრიგოლის ასული — აბაშის რაიონის სოფელ მარნის საშუალო სკოლის აღმზრდელი

16. კოპალეიშვილი გრიგოლ კონსტანტინეს ძე — სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი

17. ქუნთელია ცისანა ვლადიმერის ასული — სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი

18. ჩახუნაშვილი ბიჭიკო ისაიას ძე — სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამნეო ნაწილში

19. მგალობლიშვილი ჯულიეტა სუმბათის ასული — რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორი

20. ბაშალეიშვილი ლიალია ვარლამის ასული — რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე

21. პოლიხრონოვი ირაკლი გიორგის ძე — რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში

22. ნაჭყებია ვარლამ ვახტანგის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის დირექტორი

23. ბიგვავა გივი ვიქტორის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. თოდუა შალვა მალაქიას ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**

**თ. ქინჭლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე**

**დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გადაწყვეტილება — რესპუბლიკაში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, დანიშნულებით გამოცხადების, გამოყენების, განაწილების ადგილზე დამაგრების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა **შესახებ** . . . . . . . . . . . . . . **3**

გადაწყვეტილება — სასკოლო ინტერნატების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 24

Решение — об итогах II Республиканского смотра пришкольных интернатов . . . . . . . . . . . . . 32

ბრძანება № 450 — რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა შრომითი აღზრდის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . 40

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვებით საუკეთესო მომსახურების დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ . . . 45

Решение — об утверждении протокола жюри от 13 июня 1980 года по вопросу рассмотрения результатов смотра-конкурса на лучшую организацию обслуживания общественным питанием учащихся общеобразовательных восьмилетних и средних школ республики за период с 1 октября 1979 года по 1 апреля 1980 года . . . 51

გადაწყვეტილება — რუსული და უცხოური ენების სწავლების სრულყოფისათვის წარმოებული პედაგოგიური ექსპერიმენტის შემდგომი გაფართოების შესახებ . . . . . . . . . . . 55

Решение — о дальнейшем расширении проводимого в республике педагогического эксперимента с целью совершенствования обучения русскому и иностранному языкам . . . . . . . 58

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული კოლეგიის 1979 წლის 23—28 ივნისის №№ 11, 2-1/6 გადაწყვეტილებით დასახული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . 61

გადაწყვეტილება — სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილის განხილვის შედეგების შესახებ . 67

გადაწყვეტილება — მასწავლებლებისა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა მორალური სტიმულირებისათვის განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ 70

ბრძანება № 529 — პენსიაზე წარდგენის საქმეში არსებულ ზოგიერთ დარღვევათა შესახებ . . . . . . . . . . 75

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების სანიმუშოდ დაყენებისათვის ჩატარებულ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული სკოლების მუშაკთა ქების სიგელებით დაჯილდოების შესახებ . . . 77